

სდსუ - საქართველო
ქიმია-ბიოქიმიის საბაკალავრო პროგრამა
(სერტიფიცირებულია ამერიკის ქიმიური საზოდაგოების
მიერ)
(ინგლისურენოვანი)

- ნაწილი I: ქიმიისა-ბიოქიმიის საბაკალავრო პროგრამა
- ნაწილი II: ბაკალავრიატის სასწავლო კურსების აღწერა
- ნაწილი III: შეფასება და სტუდენტთა სწავლის შედეგები
- ნაწილი IV: საბაკალავრო კურსების სილაბუსები სახელმძღვანელოების სრული დეტალებით, ლექციის განრიგებით, შეფასებებით, საშინაო დავალებებით, სწავლების შედეგებით, და სხვა.

ნაწილი I: ქიმია-ბიოქიმიის საბაკალავრო პროგრამა

სდსუ ქიმიისა და ბიოქიმიის დეპარტამენტი

მეცნიერებათა კოლეჯი

ოფისი: GMCS 209

ტელეფონი: 619-594-5595

ფაქსი: 619-594-4634

ელექტრონული ფოსტა: cheminfo@sciences.sdsu.edu

<http://www.sci.sdsu.edu/chemistry>

აკრედიტებულია ამერიკის ქიმიური საზოგადოების მიერ

თანამშრომლები/აკადემიური პერსონალი:

ემერიტუსები: აბოტი, ბენეტი, ჩატფილდი, კობლი, დამსი, გრუბსი, იენსენი, ჯონსი, ჯოზეფი, ლანდისი, ლეპჰერზი, მალიკი, მათიუსონი, მეთუგერი, ონილი, რიჩარდსონი, რინგი, როედერი, სტიუარტი, სტუმფი, ვალბა, ვუდსონი

კათედრის გამგე: თონგი

პროფესორები: კარანო, კოკსი, გროთჯანი, ჰუქსფორდი, თონგი

ასოცირებული პროფესორები: ბერგდაჰლი, კოლი, ჰარისონი, ლოვი, ფულმენი, სმიტი, ვან დერ გრინი

ასისტენტ პროფესორები: გუსტაფსონი, ჰოლანდი, ფურსე

სდსუ-ს ქიმიისა და ბიოქიმიის დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული ხარისხები

ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ქიმიაში.

ხელოვნების მაგისტრის ხარისხი ქიმიაში.

მეცნიერების მაგისტრის ხარისხი ქიმიაში.

გამოყენებითი ხელოვნებისა და მეცნიერების ბაკალავრი ქიმიური ფიზიკის განხრით

გამოყენებითი ხელოვნებისა და მეცნიერების ბაკალავრი ქიმიის განხრით ამერიკის ქიმიური საზოგადოების სერტიფიკატით

გამოყენებითი ხელოვნებისა და მეცნიერების ბაკალავრი ქიმიაში ბიოქიმიის განხრით

ხელოვნების ბაკალავრი ლიბერალურ ხელოვნებასა და მეცნიერებაში ქიმიის განხრით ამერიკის ქიმიური საზოგადოების სერტიფიკატით ან სერტიფიკატის გარეშე.

მასწავლებლის კვალიფიკაცია ქიმიაში ერთი საგნის სწავლების კვალიფიკაციით.

ქიმიის მაინორი.

სდსუ-საქართველოსთვის შეთავაზებული ხარისხი

ჩვენ გთავაზობთ შემდეგ ორ ყველაზე პოპულარულ საბაკალავრო ხარისხს:

- 1) მეცნიერებათა ბაკალავრი ქიმიაში ამერიკის ქიმიური საზოგადოების სერტიფიკატით და
- 2) მეცნიერებათა ბაკალავრი ქიმიაში ბიოქიმიის განხრით

ქიმიის საბაკალავრო ხარისხი

ქიმიის შესწავლის მეშვეობით, სტუდენტებს შეუძლიათ უკეთ აღიქვან მათი გარემო და გააუმჯობესონ ახალი მასალები, რაც უზრუნველყოფს ცხოვრების უფრო მაღალ ხარისხს. ქიმიკოსის კარიერის ფართო სპექტრი გულისხმობს მათ ჩართვას ახალი მასალების კვლევაში, შემუშავებასა და წარმოებაში. ფუნდამენტური ქიმიური გამოკვლევები საზოგადოებას აძლევს ახალი მასალების შექმნისა და მათი ფიზიკური და ქიმიური თვისებების წინასწარმეტყველების საშუალებას. განვითარებად ქიმიაში, პროფესიონალები პოულობენ მათი გამოყენების გზებს. არსებობს კარიერული შესაძლებლობები აგრეთვე იმ სფეროებში, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის ამ მასალების მიწოდებას ხელსაყრელ ფასებში. თითოეულ ამ სფეროში არსებობს ვიწრო სპეციალობები ანალიზურ, არაორგანულ, ორგანულ და ფიზიკურ ქიმიაში, ისევე როგორც ბიოქიმიაში.

ქიმიისა და ბიოქიმიის დეპარტამენტი გთავაზობთ ხუთ პროგრამას შემდეგი (აკადემიური) ხარისხების მისაღებად: ხელოვნების ბაკალავრის, მეცნიერების ბაკალავრი, ხელოვნების მაგისტრის, მეცნიერების მაგისტრი და ფილოსოფიის დოქტორის.

ბაკალავრიატის პროგრამაში არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა მათთვის, ვისაც სურს ქიმიის როგორც ძირითად (Major) ისე დამატებით (Minor) სპეციალობად არჩევა. ქიმიის ძირითადი სპეციალობა მეცნიერების ბაკალავრის ხარისხით და ამერიკის ქიმიური საზოგადოების სერტიფიკატით საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს, იმუშავოს ქიმიკოსად სხვადასხვა სფეროში ან გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში.

ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი ქიმიის განხრით და ამერიკის ქიმიური საზოგადოების სერტიფიკატი ითვალისწინებს სპეციალისტების/სტუდენტების მომზადებას ისეთი კარიერისა და სამაგისტრო პროგრამებისათვის, რომლებიც ქიმიის ღრმა ცოდნას მოითხოვს. არჩევითი კურსების გარკვეული კონცენტრაციები მისცემს კურსდამთავრებულს შესაძლებლობას, რომ დააკმაყოფილოს სამედიცინო, სტომატოლოგიურ და ფარმაცევტულ ფაკულტეტებზე დაშვების წინაპირობები. დამატებით სპეციალობად რეკომენდირებულია ბიოლოგიის არჩევა. ქიმიის არჩევითი საგნების გარკვეული ერთობლიობები საშუალებას აძლევს სტუდენტს, რომ გააკეთოს ფოკუსირება ქიმიის ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა ანალიზური ქიმია, ბიოქიმია, ქიმიური ფიზიკა, არაორგანული ქიმია, ორგანული ქიმია და ფიზიკური ქიმია.

ქიმიის საბაკალავრო პროგრამა (impacted program) როგორც სდსუ-ს სხვა საბაკალავრო პროგრამები ითვალისწინებს ძირითად სპეციალობაზე ჩარიცხვამდე მოსამზადებელი კურსების გავლას.

სტუდენტი რეგისტრირდება ქიმიის ძირითად სპეციალობაზე, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ა. ძირითადი სპეციალობისათვის მოსამზადებელი კურსების გავლა;

ბ. მინიმუმ 60 სემესტრული ერთეული (კრედიტი საათი);

გ. უნდა ჰქონდეს მინიმუმ 2.0. კუმულაციური GPA.

ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს ამ ხარისხისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით წაყენებული ის მოთხოვნები, რომლებიც იყო განსაზღვრული უნივერსიტეტის კატალოგით მოსამზადებელ კურსებზე დაშვების მომენტში.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო გეგმა (MAP)

საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რეკომენდირებული კურსების ჩამონათვალი სტუდენტებმა შეიძლება ნახონ ვებგვერდზე: <http://www.sdsu.edu/mymap>. ეს ვებ-გვერდი დაეხმარება სტუდენტებს, რათა გაეცნონ მათი ძირითადი სპეციალობის მოთხოვნებს, აგრეთვე ზოგადი განათლების (General Education) იმ კურსებს, რომელიც სავალდებულოა ძირითადი სპეციალობისათვის. სდსუ-ს ზოგადი განათლების გეგმაში აღწერილია მოთხოვნების სრული აღწერა და საკრედიტო შეზღუდვები. მომდევნო გვერდებზე განხილულია რამდენიმე მაგალითი სპეციალობის სასწავლო გეგმის შესახებ.

სდსუ-ს ქიმიის ძირითადი სპეციალობის აკადემიური გეგმა (MAP)

ძირითადი: 772601

სასწავლო გეგმის

წელი: 2014

ბოლოს შეცვლილია 19 ივნისს, 2014, 14:56:27

პირველი წელი

შემოდგომის სემესტრი			გაზაფხულის სემესტრი		
დახასიათება	კურსი	თავი	დახასიათება	კურსი	თავი
GE თემა		3	GE სამუალო საფეხურის თემა		3
GE მათემატიკა/ძირითადი/ მოსამზადებელი	მათემატიკა	150	GE ზეპირი კომუნიკაცია		3
GE ფიზიკური			ძირითადი მოსამზადებელი	მათემატიკა	151
მეცნიერება/ლაბ/ძირითადი/მოსამზადებელი	ქიმია	200	ძირითადი მოსამზადებელი	ქიმია	201
GE ჰუმანიტარული მეცნიერებები		3	კრედიტები:		15
კრედიტები:		15	ჯამური კრედიტები:		30
ჯამური კრედიტები:		15			

მეორე წელი

შემოდგომის სემესტრი			გაზაფხულის სემესტრი		
დახასიათება	კურსი	თავი	დახასიათება	კურსი	თავი
GE ჰუმანიტარული მეცნიერებები		3	წერის კოლტურა		
GE სოციალური და ქცევამეცნიერება		3	GE სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები		3
ძირითადი/ მოსამზადებელი	მათემატიკა	252	ძირითადი მოსამზადებელი	ფიზიკა	196
ძირითადი/ მოსამზადებელი	ფიზიკა	195	ძირითადი მოსამზადებელი	ფიზიკა	196L
ძირითადი /მოსამზადებელი/ არჩევითი	ფიზიკა	195L	ძირითადი მოსამზადებელი	ქიმია	232
		1	ძირითადი მოსამზადებელი	ქიმია	232L
		1	ძირითადი მოსამზადებელი	ქიმია	251
კრედიტები:		15	კრედიტები:		16
ჯამური კრედიტები:		45	ჯამური კრედიტები:		61

მესამე წელი

შემოდგომის სემესტრი			გაზაფხულის სემესტრი		
დახასიათება	კურსი	თავი	დახასიათება	კურსი	თავი
შენი შეფასება (წინა სემესტრის) წერის კულტურაში განსაზღვრავს, თუ რომელს აირჩევ შემდეგი 2 კურსიდან RWS 280 თუ 281.			GE სოციალური და ქცევამეცნიერება		3
GE ჰუმანიტარული მეცნიერებები		3	GE ჰუმანიტარული მეცნიერებები		3
ძირითადი	ქიმია	410A	ძირითადი	ქიმია	410B
		4	ძირითადი	ქიმია	417
ძირითადი	ქიმია	432	ძირითადი არჩევითი		3
ძირითადი	ქიმია	432L	კრედიტები:		14
ძირითადი	ქიმია	560	ჯამური კრედიტები:		90
არჩევითი		1			

კრედიტები: 15
ჯამური კრედიტები: 76

მეოთხე წელი

შემოდგომის სემესტრი		გაზაფხულის სემესტრი			
დახასიათება	კურსი	თავი	დახასიათება	კურსი	თავი
ამერიკული ინსტიტუციები/დაწესებულებები		3	GE კვლევა; მაღალი დონის კურსი		3
GE გამოკვლევები		3	GE გამოკვლევები		3
ძირითადი	ქიმია 457	2	ძირითადი	ქიმია 520B	3
ძირითადი	ქიმია 520A	3	ძირითადი	ქიმია 427	1
ძირითადი	ქიმია 550	2	ძირითადი არჩევითი		5
ძირითადი	ქიმია 498	1	კრედიტები:		15
არჩევითი		1	ჯამური კრედიტები:		120
კრედიტები:		15	*ამერიკული დაწესებულების/ინსტიტუციების მაღალი დონის კურსის სტუდენტების საკურსო ნამუშევარი უნდა შეიცვალოს მესამე GE კვლევითი კურსით (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სასწავლო გეგმა)		
ჯამური კრედიტები:		105			

სდსუ-ს ქიმიის ბიოქიმიის განხრით ძირითადი სპეციალობის აკადემიური გეგმა (MAP)

ძირითადი: 772609

სასწავლო გეგმის

წელი:

2014

ბოლოს შეცვლილია 19 ივნისს, 2014 at 14:56:11

პირველი წელი

შემოდგომის სემესტრი		გაზაფხულის სემესტრი				
დახასიათება	კურსი	თავი	დახასიათება	კურსი	თავი	
GE თემა		3	GE შუალედური თემა		3	
GE მათემატიკა/ძირითადი მოსამზადებელი	მათემატიკა	150	4	GE ზეპირი კომუნიკაცია	3	
GE ფიზიკური მეცნიერება/ლავ/ძირითადი მოსამზადებელი	ქიმია	200	5	ძირითადი მოსამზადებელი	მათემატიკა 151	4
				ძირითადი მოსამზადებელი	ქიმია 201	5
GE ჰუმანიტარული მეცნიერებები		3	კრედიტები:		15	
კრედიტები:		15	ჯამური კრედიტები:		30	
ჯამური კრედიტები:		15				

მეორე წელი

შემოდგომის სემესტრი		გაზაფხულის სემესტრი				
დახასიათება	კურსი	თავი	დახასიათება	კურსი	თავი	
GE სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები/ძირითადი მოსამზადებელი და	ბიოლოგია 204	3	წერის კულტურა			
GE სოციალური და ქვეცითი მეცნიერება	ბიოლოგია 204L	1	GE ჰუმანიტარული მეცნიერებები		3	
ძირითადი მოსამზადებელი		3	ძირითადი მოსამზადებელი	ფიზიკა 196	3	
ძირითადი მოსამზადებელი	მათემატიკა	252	4	ძირითადი მოსამზადებელი	ფიზიკა 196L	1
ძირითადი მოსამზადებელი	ფიზიკა	195	3	ძირითადი მოსამზადებელი	ქიმია 232	3
ძირითადი მოსამზადებელი	ფიზიკა	195L	1	ძირითადი მოსამზადებელი	ქიმია 232L	1
კრედიტები:		15	ძირითადი მოსამზადებელი	ქიმია 251	5	
ჯამური კრედიტები:		45	კრედიტები:		16	
			ჯამური კრედიტები:		61	

მესამე წელი

შემოდგომის სემესტრი		გაზაფხულის სემესტრი			
დახასიათება	კურსი	თავი	დახასიათება	კურსი	თავი
შენი წერის წყობის შეფასებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ან RWS 280 ან 281-ზე და მიიღოს მაღალი (ეს გადმოიტანე წინა პროგრამიდან)			GE ჰუმანიტარული მეცნიერებები		3
GE ჰუმანიტარული		3	GE სოციალური და ქვეათმეცნიერება		3
ძირითადი	ქიმია 410A	4	ძირითადი	ქიმია 410B	3

ძირითადი	ქიმია 432	3	ძირითადი	ქიმია 417	2
ძირითადი	ქიმია 432L	1	ან	ქიმია 563	
ძირითადი	ქიმია 560	3	ან	ქიმია 564	
არჩევითი		1	ძირითადი	ქიმია 567	3
			არჩევითი		1
კრედიტები:		15			
ჯამური კრედიტები:		76	კრედიტები:	15	
			ჯამური კრედიტები:	91	

მეოთხე წელი

შემოდგომის სემესტრი			გაზაფხულის სემესტრი		
დახასიათება	კურსი	თავი	დახასიათება	კურსი	თავი
ამერიკული ინსტიტუციები		3	GE კვლევა: ზედა განყოფილებაში		3
GE კვლევა		3	ამერიკული დაწესებულებები*		3
ძირითადი	ქიმია 457	2	GE კვლევა		3
ძირითადი	ქიმია 550	2	ძირითადი	ქიმია 498	1
ძირითადი	ქიმია 562	2			7
ან			ძირითადი არჩევითი		
ან	ქიმია 563				14
ძირითადი არჩევითი	ქიმია 564	3	კრედიტები:		
			ჯამური კრედიტები:		120
კრედიტები:		15	<i>*ამერიკული დაწესებულების ზედა განყოფილების სტუდენტების საკურსო ნამუშევარი უნდა შეიცვალოს მესამე GE კვლევითი კურსით (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სასწავლო გეგმა)</i>		
ჯამური კრედიტები:		106			

ქიმიის ხარისხები სდსუ-საქართველოსათვის

1. მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ქიმიაში ამერიკის ქიმიური საზოგადოების სერტიფიკატით

(ძირითადი კოდი: 19051) (სიმ კოდი: 772601)

პროგრამაზე შემსვლელმა ყველა კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს სწავლების გეგმაში ჩამოთვლილი დამთავრების მოთხოვნები - „გამოსაშვები მოთხოვნები.“

ამ სპეციალობაზე წინაპირობა არა რის დამატებითი სპეციალობის გავლა.

სპეციალობისათვის მოსამზადებელი კურსებია: ქიმია 200, 201, 232, 232L, 251; მათემატიკა 150, 151, 252; და ფიზიკა 195, 195L, 196, 196L. (39 სემესტრული ერთეული) რეკომენდებულია: ფიზიკა 197 და 197L.

მოთხოვნა მართლწერაში (წერის კულტურაში) კანდიდატმა უნდა ჩააბაროს გამოცდა წერაში (რომლის მიხედვითაც მოხდება მისი განაწილება შესაბამის საფეხურზე) 10 ქულიანი შეფასებით ან გაიაროს უფრო მაღალი დონის წერის კურსები C (2.0) ან უკეთესი შეფასებით.

ძირითად სპეციალობა. მინიმუმ 36 სემესტრული ერთეული მაღალი დონის შემდეგ სასწავლო კურსებში: ქიმია 410A, 410B, 417, 427, 432, 432L, 457, 520A-520B, 550, 560, 498-ის ერთ ერთეულს, და მაღალი დონის ქიმიის არჩევითი საგნების 8 კრედიტს. 8 კრედიტიდან 6 შეიძლება მოგროვებულ იქნას ქიმიის დეპარტამენტის მიერ მოწონებულ/ნებადართულ მონათესავე საგნებში.

2. მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ქიმიაში ბიოქიმიის განხრით

(სიმ კოდი: 772609)

სპეციალობის მოსამზადებელი კურსებია: ქიმია 200, 201, 232, 232L, 251; ბიოლოგია 204, 204L; მათემატიკა 150, 151, 252; ფიზიკა 195, 195L, 196, 196L. (43 სემესტრული ერთეული) რეკომენდებულია: ფიზიკა 197 და 197L.

მოთხოვნა მართლწერაში (წერის კულტურაში) კანდიდატმა უნდა ჩააბაროს გამოცდა წერაში (რომლის მიხედვითაც მოხდება მისი განაწილება შესაბამის საფეხურზე) 10 ქულიანი შეფასებით ან გაიაროს უფრო მაღალი დონის წერის კურსები C (2.0) ან უკეთესი შეფასებით.

ძირითადი სპეციალობა. მინიმუმ 36 სემესტრული ერთეული მაღალი დონის შემდეგ კურსებს: ქიმია 410A, 410B, 432, 432L, 457, 550, 560, 567; ოთხი სემესტრული ერთეული შერჩეულია ქიმიის 496, 497, 498 და რაიმე 500-დონის სასწავლო კურსებიდან; ბიოლოგია 350, 352, 485, 549, 570, 590. ქიმიის 417, 427 და 520A სასწავლო კურსების დამატება ამ პროგრამაზე აუცილებელია ამერიკის ქიმიური საზოგადოების სერტიფიკატის ასაღებად.

ნაწილი II: საბაკალავრო კურსების აღწერა

ქიმიისა და ბიოქიმიის სასწავლო კურსების აღწერა

კურსების დანომვრის, სემესტრული ერთეულის ან კრედიტ-საათის მცნების, წინაპირობებისა განმარტებისათვის და სხვა მსგავსი ინფორმაციის მისაღებად გამოიყენე შემდეგი თავები სდსუ კატალოგიდან: კურსები და კურიკულუმები და საუნივერსიტეტო სტრატეგია.

დაბალი დონის კურსები (Lower Division Courses):

ქიმია 100 ზოგადი ქიმიის შესავალი და ლაბორატორია (4)*

სამი ლექცია და სამი საათი ლაბორატორიული.

ქიმიის ელემენტარული პრინციპების გამოიყენებით ნაჩვენებია თანამედროვე მეცნიერული აზროვნების ბუნება და განვითარება.

არ დაიშვებიან სტუდენტები კრედიტებით ქიმიაში 105 ან 200.

ქიმია 102

შესავალი ზოგად, ორგანულ და ბიოლოგიურ ქიმიაში (5) [GE]

ოთხი ლექცია და სამი საათი ლაბორატორიული მეცადინეობისთვის.

წინაპირობა: ქიმიის საშუალო სკოლა ან ქიმია 100.

ზოგადი, ორგანული და ბიოლოგიური ქიმიის ის პრინციპები, რომლებიც საჭიროა რათა გავიგოთ ადამიანის ბიოქიმია და ფარმაკოლოგია. ეს საკითხები მოიცავს აგრეთვე ქიმიური ბმებს, სტერეოქიმიას, მჟავიანობას, თერმოდინამიკას, ნახშირწყლებს, ცხიმებს, ფერმენტებს, პროტეინებს და ნუკლეინის მჟავებს. მიიღებიან მხოლოდ ის სტუდენტები, ვინც აპირებს გაკეთებას მიმართულებით „საექთნო საქმის“ ძირითად სეპციალობად არჩევას.

ქიმია 130

ელემენტარული ორგანილი ქიმია ან ორგანული ქიმიის საწყისები (3)

წინაპირობა: ქიმია 100 ან 200.

შესავალი ნახშირბადის ნაერთებში, რაც მოიცავს ორივეს, ალიფატიურ და არომატულ ნაერთებს. არ მიიღებიან სტუდენტები კრედიტით ქიმიაში 231 ან 232.

ქიმია 160

ბიოქიმიის შესავალი (3)

წინაპირობა: ქიმია 130.

სასიცოცხლო პროცესების ქიმიის ფუნდამენტური პრინციპები. ეს კურსი განკუთვნილია პირველ რიგში ბაკალავრის ხარისხის მსურველთათვის კვებისა და მონათესავე სფეროებში. არ არის სავალდებულო „საექთნო საქმის“ ფაკულტეტზე დასარეგისტრირებლად.

(-)* - სემესტრული ერთეულების ანუ კრედიტ საათების რაოდენობა

1 სემესტრული ერთეული ანუ კრედიტ საათი = 1/2 ECTS კრედიტს

ქიმია 200

ზოგადი ქიმია (5)

სამი ლექცია, ერთი საათი დისკუსიისთვის და სამი საათი ლაბორატორიისთვის.

წინაპირობა: ქიმიის შესავლის ცოდნა, რაც უნდა დასტურდებოდეს ქიმია 100-ის ჩათვლით C ან უფრო მაღალი ქულით, ან უნდა აკმაყოფილებდეს მათემატიკის ჩარიცხვის დონის მოთხოვნებს და დამლეული ჰქონდეს გამოცდა ქიმიის მიმართულებაზე სწავლისათვის. ქიმიის ზოგადი პრინციპები განსაკუთრებული აქცენტით არაორგანულ მასალებზე.

ქიმია 201

ზოგადი ქიმია (5)

სამი ლექცია, ერთი საათი დისკუსიისათვის და სამი საათი ლაბორატორიისთვის.

წინაპირობა: ქიმია 200 ან 202 C ან უფრო მაღალი ქულით.

ქიმია 200-ის გაგრძელება. ქიმიის ზოგადი პრინციპები განსაკუთრებული აქცენტით ქიმიურ რეაქციებზე.

ქიმია 202

ზოგადი ქიმია ინჟინერებისთვის (4)

სამი ლექცია და სამი საათი ლაბორატორიულიისთვის.

წინაპირობა: ქიმიის საწყისების ცოდნა, რაც უნდა დასტურდებოდეს ქიმია 100-ის ჩათვლით C-თი ან უფრო მაღალი ქულით, ალტერნატიულად, უნდა აკმაყოფილებდეს მათემატიკის ჩარიცხვის დონის მოთხოვნებს და დამლეული ჰქონდეს გამოცდა ქიმიის მიმართულებაზე სწავლისათვის. ქიმიის ძირითადი პრინციპები აქცენტით არაორგანულ და ფიზიკურ ქიმიაზე და ქიმიის საფუძვლებზე ინჟინერებისთვის. არ მიიღებიან სტუდენტები კრედიტით ქიმიაში 200. განკუთვნილია მხოლოდ იმ სტუდენტებისათვის, რომელთა სპეციალობაცაა ქიმიური ფიზიკა და საინჟინრო დისციპლინები.

ქიმია 232

ორგანული ქიმია (3)

წინაპირობა: ქიმია 201 C ან უფრო მაღალი ქულით და კრედიტით ან პარალელური რეგისტრაციით კურსისათვის ქიმია 232L.

ორგანული ნაერთებისა თვისებები და სინთეზი რეაქციის მექანიზმების ჩათვლით. ეს იგივე კურსია, რაც ქიმია 231-ის მხოლოდ ლექციების ნაწილი. არ მიიღებიან ის სტუდენტები, ვისაც უკვე აქვს მოპოვებული კრედიტი ქიმიაში 231.

ქიმია 232L

ორგანული ქიმიის ლაბორატორია (1)

სამი ლაბორატორიული საათი.

წინაპირობა: ქიმია 201 C ან უფრო უკეთესი ქულით და კრედიტით ან პარალელური რეგისტრაციით ქიმიაში 232.

ორგანული ნაერთების თვისებები და სინთეზი მათი დაყოფისა და გასუფთავების მეთოდების ჩათვლით. ეს არის იგივე კურსი, რაც ქიმია 231-ის ლაბორატორიული ნაწილი. არ მიიღებიან სტუდენტები კრედიტით ქიმია 231-ში.

ქიმია 251

ანალიზური ქიმია (5)

სამი ლექცია და ექვსი საათი ლაბორატორიულითვის.

წინაპირობა: ქიმია 201 და კრედიტი ან პარალელური რეგისტრაცია მათემატიკაში 122 ან 150. შესავალი ანალიზური ქიმიის თეორიასა და პრაქტიკაში, მათ შორის გრაფიმეტრულ, მოცულობით და ინსტრუმენტულ მეთოდებში.

ქიმია 296

ექსპერიმენტული თემები (1-4)

რჩეული თემები. შეიძლება განმეორდეს ახალი შინაარსით. იხილეთ კლასის განრიგი კონკრეტული თემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ბაკალავრის ხარისხისათვის შესაძლებელია 296, 496 და 596 კურსების ნებისმიერი 9 სემესტრული ერთეულის კომბინაცია.

ქიმია 299

სპეციალური სწავლება (1-4)

წინაპირობა: ინსტრუქტორის თანხმობა.

ინდივიდუალური სწავლება. მაქსიმალური კრედიტის რაოდენობაა ექვსი ერთეული.

მაღალი დონის კურსები:

(განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის)

ქიმია 300

სასამართლო ექსპერტიზა/კრიმინალისტიკა (3) [GE]

წინაპირობა: ქიმია 100 ან ზოგადი განათლების ცოდნის საფუძვლების II. ა. „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და რაოდენობრივი მსჯელობა“ ნაწილის მოთხოვნების შესრულება.

მოლეკულურ დონეზე ჩატარებული ანალიზებით ახსნილი საიდუმლოებების კვლევის მეთოდები და კონკრეტული შემთხვევები: დანაშაულის ადგილის ქიმიური და დნმ ანალიზები, იდუმალი სიკვდილის და უბედური შემთხვევის ბიოქიმიური ანალიზები, (დოკუმენტების) გაყალბების მოლეკულური ასპექტები, დანაშაულის აღკვეთის ქიმიური მეთოდები, ხანძრისა და სტრუქტურული კონსტრუქციების ხარვეზების ქიმიური მიზეზები. საჭირო არ არის მათთვის, ვისი ძირითადი სპეციალობაა ქიმია.

ქიმია 308

ქიმია, როგორც გამაერთიანებელი მეცნიერება (3) [GE]

წინაპირობა: ზოგადი განათლების ცოდნის საფუძვლების II. ა. „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და რაოდენობრივი მსჯელობა“ ნაწილის მოთხოვნების შესრულება.

ატომურ-მოლეკულური თეორიის არსი, ქიმიის ცნებების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში დაკვირვებად მოვლენების, მათ შორის ფიზიკური თვისებებისა და ქიმიური ცვლილებების ასახსნელად; კავშირი ქიმიას, ბიოლოგიას დედამიწის შემსწავლელ და ფიზიკური მეცნიერებებს შორის. მიიღებიან მხოლოდ ის სტუდენტების, ვისი სპეციალობაცაა ლიბერალური განხრით. არ არის განკუთვნილი ქიმიის ძირითადი სპეციალობისათვის.

ქიმია 365

ბიოქიმია, უჯრედისა და მოლეკულური ბიოლოგია I (3)

წინაპირობა: ბიოლოგია 203, 203ლ და ქიმია 232, 232ლ.

თანამედროვე ინტეგრირებული ბიოქიმიის ძირითადი კონცეფციები, უჯრედისა და მოლეკულური ბიოლოგია. არ მიიღებინ სტუდენტები კრედიტით ქიმიაში 560. ქიმიის ძირითად და დამატებით სპეციალობაში გამოიყენება მხოლოდ დეპარტამენტის თანხმობით.

ქიმია 410ა

ფიზიკური ქიმია (4)

სამი ლექცია და სამი საათი ლაბორატორიულისთვის.

წინაპირობა: ქიმია 232, 232ლ, 251; მათემატიკა 252 (მათემატიკა 150, 151; 252 ან ფიზიკა 195, 195ლ, 196, 196ლ ქიმიის მასწავლებლის სპეციალობისათვის); ფიზიკა 195, 195ლ და 196, 196ლ. რეკომენდებულია: ფიზიკა 197 და 197ლ.

ქიმიის თეორიული ასპექტები აქცენტით მათემატიკურ ფორმულირებებზე. ქიმიურ სისტემებზე ჩატარებული ფიზიკური გაზომვების შედეგების დაგროვება და სტატისტიკური ანალიზი.

ქიმია 410ბ

ფიზიკური ქიმია (3)

სამი ლექცია.

წინაპირობა: ქიმია 232, 232ლ, 251, 410ა. ქიმიის თეორიული ასპექტები აქცენტით მათემატიკურ ფორმულირებებზე. ქიმიურ სისტემებზე ჩატარებული ფიზიკური გაზომვების შედეგების დაგროვება და სტატისტიკური ანალიზი.

ქიმია 417

მაღალი საფეხურის ფიზიკური ქიმიის ლაბორატორია (2)

ლაბორატორიულის ექვსი საათი.

წინაპირობა: ქიმია 251, 410ა, და კრედიტი ან მიმდინარე რეგისტრაცია ქიმია 410ბ-ში.

ექსპერიმენტული ფიზიკური ქიმია. აქცენტი გაკეთებული იქნება ხელსაწყოს საშუალებით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციასა და სტატისტიკურ დამუშავებაზე, ექსპერიმენტის შესახებ ჩანაწერის და ანგარიშის მომზადებაზე, ისევე როგორც შედეგების ინდივიდუალურ ინტერპრეტაციაზე.

ქიმია 427

არაორგანული ქიმიის ლაბორატორია (1)

სამი ლაბორატორიული საათი.

წინაპირობა: კრედიტი ან მიმდინარე რეგისტრაცია ქიმიაში 520ა.

ლაბორატორიის კურსი მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტებს არაორგანული ნაერთებისა და მასალების სინთეზის, დახასიათებისა და გარდაქმნის მეთოდები.

ქიმია 432

ორგანული ქიმია (3)

წინაპირობა: ქიმია 232 C-თი ან უფრო მაღალი ქულით და კრედიტი ან მიმდინარე რეგისტრაცია ქიმიაში 432ლ.

ქიმია 232-ის გაგრძელება. იგივე კურსი, როგორც ქიმია 431-ის ლექციის ნაწილი. არ მიიღებინ სტუდენტები ქიმია 431-ის კრედიტით.

ქიმია 432ლ

ორგანული ქიმიის ლაბორატორია (1)

წინაპირობა: ქიმია 232ლ C-თი ან უფრო მაღალი ქულით და ჩათვლა ან მიმდინარე რეგისტრაცია ქიმიაში 432.

ქიმია 232ლ-ს გაგრძელება. იგივე კურსი, როგორც ქიმია 431-ის ლაბორატორიის ნაწილი. არ მიიღებიან სტუდენტები ქიმია 431-ის კრედიტით.

ქიმია 457

ქიმიური ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების ლაბორატორია (2)

ლაბორატორიულის ექვსი საათი.

წინაპირობა: ქიმია 251, 432, 432ლ და კრედიტი ან მიმდინარე რეგისტრაცია ქიმია 410ბ-ში; მიმდინარე რეგისტრაცია ქიმია 550-ში.

ქიმიის ყველა დარგში ფართოდ გამოყენებული ნივთიერებათა დაყოფისა და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების შესწავლა.

ქიმია 496

ქიმიის რჩეული თემები (1-4)

წინაპირობა: ხელმძღვანელის თანხმობა.

რჩეული თემები თანამედროვე ქიმიაში. შეიძლება განმეორდეს ახალი შინაარსით. იხილეთ კლასის განრიგი კონკრეტული შინაარსისთვის. ცხრა სემესტრული ერთეული 296, 496, 596 კურსების ნებისმიერი კომბინაციით გამოსადეგია ბაკალავრის ხარისხისათვის. მაქსიმალური კრედიტის რაოდენობაა ექვსი ერთეული.

ქიმია 497

საბაკალავრო ნაშრომი (1-3) Cr/NC

წინაპირობა: ქიმია 232, 232ლ, 251.

ინდივიდუალური ლაბორატორიული კვლევა. მაქსიმალური კრედიტების რაოდენობაა ექვსი ერთეული, საჭიროა ქიმიის ყველა ძირითადი და დამატებითი სპეციალობებისთვის.

ქიმია 498

დამამთავრებელი პროექტი (1-3)

წინაპირობა: სამი ერთწლიანი კურსები ქიმიაში.

ინდივიდუალური ლიტერატურული და/ან ლაბორატორიული კვლევა და ანგარიშის მომზადება.

მაქსიმალური კრედიტების რაოდენობაა სამი ერთეული.

ქიმია 499

სპეციალური სწავლება (1-4)

წინაპირობა: ხელმძღვანელის თანხმობა.

ინდივიდუალური კვლევა. მაქსიმალური კრედიტების რაოდენობაა ექვსი ერთეული.

კურსები უმაღლესი დონისათვის

(გამოსადეგია აგრეთვე უფრო მაღალი აკადემიური ხარისხის მისაღებად)

ქიმია 510

წინწასული ფიზიკური ქიმია/ ფიზიკური ქიმიის რთული კურსი (3)

წინაპირობა: ქიმია 410ბ.

გამოყენებითი ხასიათის ამოცანები ქიმიურ თერმოდინამიკაში, სტატისტიკურ მექანიკაში, ქიმიურ კინეტიკაში, კვანტურ ქიმიაში, მოლეკულის სტრუქტურის კვლევისა და სპექტროსკოპიაში.

ქიმია 520ა-520ბ

არაორგანული ქიმია (3-3)

წინაპირობა: ქიმია 410ა, ქიმია 520ა არის 520ბ-ის წინაპირობა

ქიმიური ბმის ბუნება და წარმომადგენლობითი და გარდამავალი ელემენტებისა და მათი ნაერთების სისტემატური ღრმა შესწავლა.

ქიმია 531

სინთეზური ორგანული ქიმია (3)

წინაპირობა: ქიმია 432, 432ლ.

თანამედროვე (რთული) ორგანული სინთეზის მეთოდები, სტრატეგია და მექანიზმები. ბიოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაერთების რეტროსინთეტიკური ანალიზი და სინთეზის გზები.

ქიმია 538

პოლიმერების ქიმია (3)

(იგივე კურსი, რაც ფიზიკა 538)

წინაპირობა: ქიმია 200 ან 202; და ქიმია 410ბ ან ფიზიკა 360 ან მათემატიკური ინჟინერია 350.

პოლიმერების სტრუქტურა, სინთეზი, ფიზიკური თვისებები და გამოყენება.

ქიმია 550

ქიმიური ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები (2)

წინაპირობა: ქიმია 232, 232ლ და ჩათვლა ან მიმდინარე რეგისტრაცია ქიმია 410ა-ში; კრედიტი ან მიმდინარე რეგისტრაცია ქიმია 457-ში მხოლოდ ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის. ქიმიის ძირითადი სპეციალობის მსტუდენტებს მასწავლებლის ხარისხის მისაღებ პროგრამაში (გამოყენებითი ხელოვნებისა და მეცნიერების ბაკალავრი) შუძლიათ ჩანაცვლება კრედიტით ქიმია 457-ში ან მიმდინარე რეგისტრაციით ქიმია 417-ში. ქიმიური ფიზიკის ძირითადის სპეციალობის სტუდენტს შეუძლია ჩანაცვლოს ქიმია 457 ჩათვლით ან მიმდინარე რეგისტრაციით ფიზიკა 311-ში.

ქიმიის ყველა დარგში ფართოდ გამოყენებული ნივთიერებათა დაყოფისა და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების თეორიისა და პრაქტიკული ასპექტების შესწავლა.

ქიმია 560

ზოგადი ბიოქიმია (3)

წინაპირობა: ქიმია 232, 232ლ და ჩათვლა ან პარალელური რეგისტრაცია ქიმიაში 410ა, 432, 432ლ.

ქიმიური ნივთიერებების სტრუქტურა, ფუნქცია, მეტაბოლიზმი და თერმოდინამიკური კავშირები ცოცხალ ორგანიზმებში. არ მიიღებიან სტუდენტები კრედიტით ქიმიაში 365.

ქიმია 562

შუალედური მეტაბოლიზმი (შეიძლება იყოს შუალედური დონის კურსი მეტაბოლიზმში) (2)

წინაპირობა: ქიმია 365 ან 560.

ნახშირწყლების, ცხიმების, ამინომჟავების და ნუკლეოტიდების მეტაბოლიზმის კატაბოლიური და ბიოსინთეზური გზები ; TCA ციკლი, ელექტრონის გადატანის ჯაჭვები მიტოქონდრიაში და ქლოროპლასტში ადენოზინტრიფოსფატის წარმოქმნა, მათი ურთიერთქმედება და კონტროლი. არ მიიღებიან სტუდენტები კრედიტით ქიმიაში 361.

ქიმია 563

ნუკლეინის მჟავას ფუნქცია და ცილების სინთეზი (2)

წინაპირობა: ქიმია 365 ან 560.

დნმ-ის რეპლიკაცია, რნმ-ის (დეოქსირიბონუკლეინის მჟავას) ტრანსკრიპცია, რნმ-ის პროცესინგი და ცილის ტრანსლაცია, სინთეზის ქიმიური მექანიზმების და გენის ექსპრესიის მარეგულირებელი უჯრედული მექანიზმების ჩათვლით; გენომი, რეკომბინაციული დნმ და დნმ-ის ტოპოლოგია. არ მიიღებიან სტუდენტები, კრედიტით ქიმიაში 361.

ქიმია 564

რეცეპტორის ბიოქიმია და ცილის მოდიფიკაცია (2)

წინაპირობა: ქიმია 365 ან 560.

უჯრედშიდა და უჯრედგარე კომუნიკაციაში მონაწილე რეცეპტორების, მეორადი მესენჯერების და უჯრედის ცილები ბიოქიმიური შესწავლა განსაკუთრებული აქცენტით ცილების სტრუქტურაზე, პოსტტრანსლაციურ მოდიფიკაციაზე, რეცეპტორებისა და ეფექტორული ენზიმების რეგულაციის ბიოქიმიურ მექანიზმებზე.

ქიმია 567

ბიოქიმიის ლაბორატორია (3)

ერთი ლექცია და ექვსი საათი ლაბორატორიულისთვის.

წინაპირობა: ქიმია 560.

სასიცოცხლო პროცესების მოლეკულურ დონეზე შესწავლის მეთოდების თეორია და პრაქტიკა. ეს კურსი მოიცავს ენზიმების გამოყოფის და დახასიათების, უჯრედის კომპონენტების გამოყოფის და რადიოაქტიური მარკერების გამოყენების მეთოდებს.

ქიმია 571

გარემოს ქიმია (3)

წინაპირობა: ქიმია 232, 232ლ, 251; ხელმძღვანელის თანხმობა ყველა სხვა სპეციალობისათვის.

გარემოს კვლევისათვის გამოყენებული ქიმიური მეთოდების საფუძვლები. გარემოს ქიმია. გარემოს შემადგენელი ბუნებრივი კომპონენტებისა და დამაბინძურებლების ანალიზი. ნიმუშის აღების მეთოდები. მიგრაცია გარემოში. საკანონმდებლო რეგულაციები და სამოქალაქო პოლიტიკა ამ სფეროში.

ქიმია 596

ქიმიის გაღრმავებული კურსის სპეციალური თავები (1-3)

წინაპირობა: ხელმძღვანელის თანხმობა.

თანამედროვე ქიმიის გაღრმავებული სპეციალური თავები. შეიძლება განმეორდეს ახალი შინაარსით. იხილეთ კლასის განრიგი კონკრეტული თემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ბაკალავრის ხარისხის შემთხვევაში დაშვებულია გამოყენებული იქნას ნებისმიერი ცხრა ერთეულის კომბინაცია კურსებიდან 296, 496 და 596.

კრედიტი 596 და 696 კურსებში საჭიროა მაგისტრის ხარისხისათვის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

კვლევის შესაძლებლობები ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის

მეცნიერული კვლევა ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის ჩვენი ყველა (ხარისხის მიმნიჭებელი) პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მინიმუმ კვლევის ერთი ერთეული არის აუცილებელი კომპონენტი, მაგრამ სტუდენტების უმრავლესობა აკეთებს გაცილებით მეტს სასწავლო კურსით ქიმია 497 (ანგარიშის გარეშე, 6 სემესტრულ ერთეულამდე შეიძლება ჩაეთვალოს ხარისხის მისაღებად) ან ქიმია 498 (ფასდება ჩატარებული სამოუშაოს შესახებ ანგარიშთან ერთად და ხარისხის მისაღებად შეიძლება 3 სემესტრულ ერთეულამდე ჩათვლა). აკადემიური პერსონალი ბაკალავრებს იღებს თავის ჯგუფში სამუშაოდ და უმეტესობას ერთდროულად ჰყავს რამდენიმე ბაკალავრი. სტუდენტებს საშუალება აქვთ კვლევები აწარმოონ სხვადასხვა მიმართულებით და მიიღონ ძალიან ძვირფასი/საჭირო პრაქტიკული გამოცდილება. ჩვენი საბაკალავრო კვლევების მოცულობისა და წარმატების შესახებ კარგ ინფორმაციას იძლევა ბაკალავრიატის სტუდენტების მონაწილეობის სტატისტიკა კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში: 24 (2008/9), 39 (2009/10), 55 (2010/11), 53 (2011/12) და 42 (2012/3). გაითვალისწინეთ, რომ ეს რიცხვები არის მინიმალური, რადგანაც ზოგიერთი არ აღრიცხავს ბაკალავრების კონფერენციებში მონაწილეობის სტატისტიკას, ხოლო ზოგიერთისაგან ზუსტი ინფორმაცია ვერ მივიღეთ იმის გამო, რომ მათ ჩვენი უნივერსიტეტი დატოვეს. დროის იგივე შუალედში აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებულ იქნა მინიმუმ 34 პუბლიკაცია ბაკალავრების თანაავტორობით.

სტუდენტის/ კურსდამთავრებულის უკუკავშირი

ერთი იმ მიმართულებათაგანი, რაშიც ქიმიის დეპარტამენტმა და ზოგადად ჩვენმა უნივერსიტეტმა მეტი უნდა გააკეთოს, არის ინფორმაციის მიღება ჩვენი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისაგან ჩვენი პროგრამების შესახებ. რამდენიმე შემთხვევაში ჩვენ საშუალება გვქონდა გვეთხოვა კითხვარის შევსება დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის და იმედი გვაქვს, გავაგრძელებთ ამის გაკეთებას იმ მიზნით, რომ თვალი გავადევნოთ, თუ რას აკეთებენ ჩვენი კურსდამთავრებულები. ჩვენ ვგეგმავთ აგრეთვე სოციალური მედიის (მაგალითად, ლინკედინის) გამოყენებას ამ მიზნით. ქვემოთ მოტანილი ცხრილი მომზადებულია ჩვენი აკადემიური პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მათი სტუდენტებისა და სტუდენტების გეგმების შესახებ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. ეს ცხრილი გამოყენებული იყო ჩვენს მიერ ამერიკის ქიმიური საზოგადოებისათვის წარდგენილ ანგარიშში.

გეგმები დამთავრების შემდეგ

კარიერა	გამოკითხულთა რაოდენობა	პროცენტი
მაგისტრატურა/დოქტორანტურა ქიმიის განხრით	40	22
სამედიცინო/სხვა პროფესიული ფაკულტეტები	42	23
ქიმ/ ბიოტექ. მრეწველობა	53	29
მასწავლებლის პროფესია	9	5
ტექნიკური მაგრამ არაქიმიური სფერო	5	3
სამხედრო სამსახური	6	3
სხვა დასაქმება	9	5
უცნობია	21	11

აკადემიური კონსულტაციები

აკადემიურ კონსულტაციებს ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის საჭირო ყველა საკითხზე, როგორც არის კურიკულუმი, დასაქმებისა და სხვა საკითხები, ხორციელდება ჩვენი კონსულტანტის, პროფესორ დავიდ პულმანის მიერ. მასთან შეხვედრა შეიძლება ამისათვის გამოყოფილ სპეციალურ საათებში და წინასწარი შეთანხმებით კვირის განმავლობაში (სამუშაო დღეებში). პროფ. პულმანი კონსულტაციებს უწევს აგრეთვე იმ სტუდენტებს, ვინც ძირითად სპეციალობად ირჩევს არაქიმიური მიმართულებას, მაგრამ ირჩევს ქიმიურ კურსებს. პროფესორი პულმანი ასევე პასუხისმგებელია ჩვენი პროგრამის პრეზენტაციაზე შიგსააუნივერსიტეტო (კარიერული ორიენტაციისადმი მიძღვნილ) ღონისძიებებზე და აგრეთვე იგი უწევს მეთვალყურეობას არტიკულაციის ხელშეკრულებებს კალიფორნიის შტატის სხვა უნივერსიტეტებთან და კოლეჯებთან. ის წყვეტს აგრეთვე ცალკეული სტუდენტების შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა იმ კურსების აღიარება ჩვენი უნივერსიტეტის მიერ, რომლებიც არ შედის არტიკულაციის ხელშეკრულებაში.

ნაწილი III: შეფასება და სტუდენტთა სწავლის შედეგები

(ქიმიის) დეპარტამენტმა დანერგო აქვს სტუდენტთა სწავლის შედეგების (SLO) რაოდენობრივი შეფასების სქემა. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს კურსის მატრიცას კურიკულუმში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების სიმბოლოებით.

ცხრილი III.1. კურსის მატრიცა

კურსის მატრიცა

კურსი	სტუდენტთა სწავლის შედეგები								
	1	2	3	4	5	6	7	8	9
200	I	I	I	I, P	I		I, P	I	I
201	I	I	I	I			I		I
231	I, P, R	P, R	P, R	I, P, R	I	I, P	P, R	P	
251	I, P	P	I, P	I, P	I		P	I	I
410ა	P	P	P	P	I	I		P	I, R
410ბ	P			P					R
417	P, R	P	P	P, R	I, P	I, P	P, R	P	I
427	P, R	P, R	P, R	P, R	P, R	P, R	P, R	P, R	
431	I, P, R	P, R	P, R	I, P, R	I, P	I, P	P, R	P	
457	I, P	P, R	I, P	P, R	P	I, P	P	P, R	I
520ა	I, R			P, R					R
520ბ	P, R			P, R	R	P, R		P, R	P, R
550	P	P	P	P	P	P	P	P	I
560ა	P			P, R	P, R			R	P
498	P, R	P, R	P	P	P	P, R	P, R	I, P	I, P, R

1= სტუდენტები გარკვეულ დონეზე იცნობენ თანამედროვე მეცნიერული და ქიმიური თეორიების საფუძვლებს და გამოყენებას

2= სტუდენტებს შეუძლიათ დაგეგმონ, განახორციელონ, ჩაიწერონ ქიმიური ექსპერიმენტი და გაანალიზონ მისი შედეგები.

3= სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ თანამედროვე ინსტრუმენტული აპარატურა და კლასიკური ტექნიკა, რათა დაგეგმონ ექსპერიმენტი და სწორად ჩაიწერონ ექსპერიმენტის შედეგები.

4= სტუდენტებს აქვთ პრობლემის გადაჭრის უნარი, კრიტიკულად და ანალიზურად აზროვნებენ

5= სტუდენტებს შეუძლიათ გამოავლინონ და გადაჭრან ქიმიური პრობლემები და გამოავლინონ/დაინახონ კვლევის ახალი მიმართულებანი.

6= სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ ინფორმაციის მოძიების თანამედროვე მეთოდები, რათა მიიღონ ინფორმაცია ქიმიასთან დაკავშირებულ თემებზე, ქიმიურ რეაქტივებზე და ქიმიურ მეთოდებზე.

7= სტუდენტები იცნობენ ქიმიურ რეაგენტებთან მუშაობის სწორ და უსაფრთხო წესებს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ მათი გამოყენება.

8= სტუდენტებს შეუძლიათ გაუზიარონ თავიანთი კვლევების შედეგები ქიმიკოსებსა და არაქიმიკოსებს.

9= სტუდენტებს ესმით იმ პრობლემის ეთიკური, ისტორიული, ფილოსოფიური და გარემოსდაცვითი ასპექტები, რომელიც შეიძლება შეხვდეს ქიმიკოსს.

I= შემოდის კურსში

P= აქტიურად შეისწავლება

R= ხდება გამეორება/გაღრმავება.

რამდენადაც სტუდენტების ცოდნის შეფასების ჩვენი კრიტერიუმები ძირითადად გამომდინარეობს ამერიკის ქიმიური საზოგადოების მიერ დასახული მიზნებიდან, სტუდენტების ცოდნის შეფასების ერთ-ერთი საშუალება უნდა ემყარებოდეს ამერიკის ქიმიური საზოგადოებასთან არსებული პროფესიული ტრენინგის კომიტეტის მიერ შემუშავებულ დეტალურ ინსტრუქციებს ქიმიის პროგრამების შეფასებისათვის. მაგალითად ჩვენ ჩვენი ამოცანები ჩამოვყალიბეთ შემდეგნაირად: 1) რა ლაბორატორიული უნარ-ჩვევები უნდა გააჩნდეს ქიმიის მეიჯორს, 2) რომელი კურსების დროს უნდა მივაწოდოთ ეს უნარ-ჩვევები და 3) რა სიხშირით უნდა განმეორდეს ტრენინგი ამ უნარ-ჩვევებში, რათა მიღწეული იქნას კომპეტენციის საჭირო დონე.

გარდა ამისა, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ სტუდენტები ჩვენს უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას. 1) ამერიკის ქიმიური საზოგადოების 5-წლიანი შეფასება იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ ჩვენი კოლეგები მას, რასაც ჩვენ ვაწოდებთ სტუდენტებს და 2) სტუდენტთა მიერ შევსებული კითხვარი პროგრამის შესახებ (სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი) ძალიან სასარგებლო “yin and yang” -ია ჩვენთვის, რათა ვიცოდეთ თუ როგორ აღიქვამენ სტუდენტები მას, რასაც ჩვენ ვაწოდებთ მათ. ეს ჩვენ უფრო დაბალანსებულ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენ ჩვენი პროგრამის შესახებ, ვიდრე ზემოთ ხსენებული ნებისმიერი კრიტერიუმი.

ჩვენ ვავსებინებთ „გამოსაშვებ კითხვარს“ ჩვენს კურსდამთავრებულებს. ჩვენ ასევე ვუტარებთ ჩვენი მაღალი კურსის სტუდენტებს „პრეტესტს“, რათა განვსაზღვროთ თუ რა რეალურ ლაბორატორიულ უნარებ-ჩვევებს ფლობენ სტუდენტები, რათა მოვახდინოთ

კურიკულუმის ადაპტაცია საჭიროების მიხედვით. როგორც ამერიკის ქიმიური საზოგადოების კვლევები აჩვენებს, სდსუ-ს ქიმიის პროგრამა წარმატებით განაგრძობს სტუდენტების პროფესიონალურ მომზადებას ქიმიაში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამის შემდგომი გაუმჯობესება საჭირო არ არის. პირიქით, „გამოსაშვები კითხვარი“-ს შედეგები მიუთითებს ამ გაუმჯობესების საჭიროებაზე, მაგრამ გამოკითხულთა დაბალი აქტივობიდან გამომდინარე (მხოლოდ გამოკითხულთა მცირე ნაწილი აბრუნებს შევსებულ კითხვარს) საჭირო იქნება რამდენიმე წელიწადი, რათა ამ გზით სტატისტიკურად სარწმუნო ინფორმაცია მოვაგროვოთ.

შეფასების კრიტერიუმები: ზოგადი მიმოხილვა

სტუდენტებს ქიმიის ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ უნდა ჰქონდეთ:

- 1) ზოგადი ცოდნა ქიმიის შემდეგ დარგებში: ანალიზური, ბიოქიმია, არაორგანული, ორგანული და ფიზიკური.
- 2) ლაბორატორიაში ეფექტური და უსაფრთხო მუშაობის ჩვევები.
- 3) კომპიუტერის ეფექტურად გამოყენების უნარი ქიმიაში.
- 4) ეფექტური კომუნიკაციის უნარი, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით.
- 5) კრიტიკული აზროვნებისა და ქიმიურ პრობლემებზე გაანალიზების უნარი.
- 6) ჰქონდეს გუნდში, ისევე როგორც ინდივიდუალურად მუშაობის უნარი.
- 7) განუვითარდეთ როგორც აბსტრაქტული, ისევე კონკრეტული აზროვნების უნარები.
- 8) უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კარიერის (შრომითი საქმიანობის) დაწყების უნარი.

ზემოთ ხსენებული მიზნები ქიმიის დეპარტამენტზე ნაწილობრივ შეიძლება მიღწეული იქნას შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

- 1) სტუდენტებისთვის დროული და ეფექტური კონსულტაციის გაწევა.
- 2) სტუდენტების ჩაბმით დამოუკიდებელ სამეცნიერო საქმიანობაში
- 3) სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალის თანამშრომლობის/ ურთიერთობების წახალისებით კურსდამთავრებულებთან და პროფესიონალ ქიმიკოსებთან.
- 4) დიალოგის წარმართვით იმ დეპარტამენტების კოლეგებთან, რომლებიც ემსახურებიან ჩვენი (ქიმიის) დეპარტამენტის სტუდენტებს.
- 5) სტუდენტებისათვის თანამედროვე ლაბორატორიული გამოცდილების შეთავაზებით.

6) სტუდენტების უზრუნველყოფით თანამედროვე კომპიუტერული რესურსებით, მათ შორის კომპიუტერის ქიმიაში გამოყენების საშუალებებით.

შეფასების მიზნები: დეტალურად - ლაბორატორიული ცოდნა და უნარები

სტუდენტს ქიმიაში ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ უნდა გააჩნდეს:

1) ქიმიის სხვადასხვა სფეროში ეფექტურად სამუშაოდ საჭირო ძირითადი ანალიზური და ტექნიკური უნარები.

2) უნარი, რომ ჩაატარონ ზუსტი რაოდენობრივი გაზომვები თეორიის გაგებით და თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზის მეთოდების გამოყენებით მოახდინოს ექსპერიმენტული შედეგების ინტერპრეტაცია, შეასრულოს გამოთვლები ამ შედეგებზე და გამოიტანოს გონივრული და ზუსტი დასკვნები.

3) ქიმიური ნაერთების სინთეზის, დაყოფის და დახასიათების უნარი, სინთეზის ცნობილი მეთოდების, სტანდარტული ლაბორატორიული აპარატურისა და თანამედროვე ხელსაწყოების გამოყენებით.

4) ექსპერიმენტული ან თეორიული სამუშაოსთვის საჭირო მეცნიერული ინფორმაციის მოძებნა და მოპოვება ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებების, როგორცაა ინტერნეტი და კომპიუტერზე დაფუძნებული ლიტერატურის მოძიება, ასევე ბეჭდვითი ლიტერატურული რესურსების გამოყენებით.

5) ექსპერიმენტის შედეგად მიღებული ტექნიკური და მეცნიერული ინფორმაციის გადმოცემის უნარი როგორც წერით ასევე ზეპირ ფორმატში.

6) უნდა იცოდნენ და ესმოდეთ მათ ექსპერიმენტში გამოყენებულ ქიმიკატებთან მუშაობის უსაფრთხოების, ეთიკური და სოციალური ასპექტები.

შეფასების მიზნები: დეტალურად - კომპიუტერი, ბიბლიოთეკა და ინფორმაციული უნარები

სტუდენტს ქიმიაში ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ უნდა გააჩნდეს:

1) ბიბლიოთეკისა და ქიმიური ინფორმაციის სხვა წყაროების ეფექტურად გამოყენების უნარი, მათ შორის ქიმიური ინფორმაციის მოძიების უნარი ა) ინფორმაციის პირველადი წყაროებიდან, ბ) ამ ინფორმაციის კრიტიკული და ეთიკის ნორმების დაცვით შეფასება, გ) ინფორმაციის მოპოვება მეორადი წყაროებიდან, როგორც არის ინტერნეტი.

2) კომპიუტერის ეფექტური გამოყენების უნარი ქიმიაში, კერძოდ ა) კომპიუტერის გამოყენება ტექსტების მოსამზადებლად, ქიმიური სტრუქტურების დასახაზად და მონაცემთა დასამუშავებლად, რათა ეს ყველაფერი გამოიყენოს სამეცნიერო ინფორმაციის გაზიარების

მიზნით (კოლეგებისათვის). ბ) იცნობდეს კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობებს ქიმიური მოვლენების მოდელირებისა და სიმულაციის მიზნით, გ) იცნობდეს კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობებს ექსპერიმენტული მონაცემების მოგროვებისა და დამუშავებისათვის, დ) იცნობდეს კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობებს ბიბლიოთეკებთან და ინტერნეტიდან საჭირო ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

შეფასების მიზნები: დეტალურად - ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის უნარი ქიმიაში; ეთიკა ქიმიაში:

სტუდენტს ქიმიაში ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ უნდა გააჩნდეს:

- 1) ტექნიკური წერისა და ზეპირმეტყველების სათანადო უნარები [სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ივარჯიშონ პრაქტიკულ წერასა და ზეპირ კომუნიკაციაში ქიმიის ბაკალავრიატში სწავლის დროს.]
- 2) მეცნიერული ინფორმაციის გადაცემის უნარი ზეპირი და წერილობითი ფორმით, როგორც მეცნიერებისთვის ასევე არამეცნიერებისთვის.
- 3) ქიმიის თანამედროვე ეთიკური ნორმების ცოდნა და ეთიკური პრინციპების გამოყენება მეცადინეობებსა და კვლევაში.

შეფასების მიზნები: დეტალები - რაოდენობრივი მსჯელობის უნარი

სტუდენტს ქიმიაში ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ უნდა გააჩნდეს:

- 1) რაოდენობრივი (ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი) მსჯელობის სათანადო უნარი, რათა შეძლოს თავისი პროფესიული მიზნის მიღწევა, მომიჯნავე დარგში მუშაობა ან შემდგომი პროფესიული დაოსტატება.
- 2) ა) ალგორითმული და გამოთვლის უნარების განვითარება, ბ) რიცხვითი მონაცემების სწორად შეგროვებისა და ინტერპრეტაციის უნარი, გ) პრობლემების სწორად გადაწყვეტის უნარი ექსტრაპოლაციის, მიახლოების, სიზუსტის, სისწორის, რაციონალური შეფასებისა და სტატისტიკური სარწმუნოების პრინციპების გამოყენებით, დ) თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირების უნარი, ე) საკითხთან მეცნიერული მიდგომის უნარი (ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და გარკვეულ პასუხებამდე და დასკვნებამდე მისვლა).

შეფასების მიზნები: დეტალები - ქიმიური პრინციპებისა და ფაქტების ცოდნა; ქიმიის, როგორც დისციპლინის აღქმა

სტუდენტს ქიმიაში ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ უნდა გააჩნდეს:

1) კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაწყვეტისა და ანალიზის უნარი, რაც განაპირობებს ა) შედეგების მოპოვებისა და ანალიზის, ბ) ქიმიის ფუნდამენტური პრინციპების შედეგების მოსაპოვებლად და ასახსნელად გამოყენების, გ) ჰიპოთეზის შესამოწმებლად ექსპერიმენტის დაგეგმვისა და მოდელირების და დ) პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში უკეთესის შერჩევის უნარებს.

2) ქიმიის (ხარისხის) პროგრამებში გამოყენებული ქიმიის ძირითადი პრინციპების ცოდნა.

3) დიდი რაოდენობით ფაქტობრივი მასალის საფუძვლიანი ცოდნა ნივთიერებების, მოლეკულებისა და ატომების თვისებების შესახებ.

შეფასების ღონისძიებები

1) აკრედიტაცია ამერიკის ქიმიური საზოგადოების მიერ. ჩვენ პროგრამები მეცნიერების ბაკალავრის ხარისხების მოსაპოვებლად აღიარებულია ამერიკის ქიმიური საზოგადოების მიერ, რომელიც ყოველ 5 წელწადში ამოწმებს ჩვენი კურსებს, ლაბორატორიულ აღჭურვილობას, აპარატურას, გამოცდების შედეგებს, საბაკალავრო ნამუშევრებს და ა.შ. ის სტუდენტები, ვინც წარმატებით ამთავრებს ყველა სავალდებულო და არჩევით კურსს, იღებს ამერიკის ქიმიური საზოგადოების მიერ სერტიფიცირებულ ბაკალავრის ხარისხს. ამერიკის ქიმიური საზოგადოება გამოყოფს კომისიას, რომელიც ანხორციელებს ჩვენს შეფასებას ადგილზე, ესაუბრება აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და ახდენენ ჩვენი საბაკალავრო პროგრამის შეფასებას. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ჩვენი პროგრამა წარმატებით გადიოდა ამ გარეშეფასების პროცესს. შეფასების ამ პროცესში ჩვენი წარმატება უჩვენებს ჩვენს მიღწევებს ცხრილ 3.1-ში მოტანილი 1-8 კრიტერიუმების მიხედვით.

2) სტატისტიკა კურსდამთავრებულთა შესახებ (კურსდამთავრებულების კითხვარი). გასული სამი წლის განმავლობაში ჩვენ თვალყურს ვადევნებდით, თუ სად მიდიოდნენ ჩვენი ქიმიის ბაკალავრის კურსდამთავრებულები და რას საქმიანობდნენ ისინი პროგრამის დამთავრების შემდეგ. დაახლოებით მათი ნახევარი სწავლას აგრძელებს სამაგისტრო/სადოქტორო კურსებზე, დაახლოებით 40% დასაქმდა ინდუსტრიაში/მრეწველობაში ან სამთავრობო სტრუქტურებში, ქიმიის ძირითადი სპეციალობის დანარჩენი კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ მედიცინის, სამართლის და სხვა ფაკულტეტებზე ან გახდნენ საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლები. დროდადრო ჩვენ ვიღებთ შეტყობინებებს ჩვენი კურსდამთავრებულების წარმატების შესახებ უფრო მაღალ საფეხურზე სწავლისას. ჩვენი კურსდამთავრებულების წარმატებები წლების განმავლობაში გვიჩვენებს, ჩვენს მიერ პროგრამის შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმების ვალიდურობას (სწავლის შედეგი #1-ის მიხედვით).

3) სამეცნიერო კვლევა საბაკალავრო დონეზე. ქიმიის ბაკალავრის „მეიჯორები“, რომლებიც ირჩევენ ქიმია 497-ს და ქიმია 498-ს (ბაკალავრის კვლევა ქიმიაში) ხშირად აკეთებენ ზეპირ მოხსენებებს კვლევითი ჯგუფის შეხვედრების დროს, წარმოადგენენ სტენდურ მოხსენებებს მათი ქიმიური კვლევების შესახებ დეპარტამენტის სტენდურ სექციებზე ან ზეპირ მოხსენებებს ამერიკის ქიმიური საზოგადოების რეგიონალურ ან ეროვნულ კონფერენციაზე. ამ კურსებში მოპოვებული კრედიტი ადასტურებს, რომ სტუდენტი აკმაყოფილებს სწავლის შედეგის მე-6 პუნქტს (მას შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია ბიბლიოთეკიდან და სხვა წყაროებიდან თავისი კვლევითი თემატიკის, ქიმიური ნივთიერებების, ქიმიური მეთოდებისა და ქიმიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე), მე-7 პუნქტს (იცნობს სწორ პროცედურებსა და რეგულაციებს ქიმიკატების გამოყენებასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს ამ დოკუმენტებით/მოიქცეს ამ დოკუმენტების შესაბამისად), და მე-8 პუნქტს (შეუძლია გაუზიაროს მის მიერ მიღებული შედეგები ქიმიკოსებს და არაქიმიკოსებს).

4) სტუდენტების/აკადემიური პერსონალის გამოკითხვები. ეს გამოკითხვები არის ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული ჩვენთვის და ჩვენ ვგეგმავთ, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს გზა, რამდენადაც ამის საშუალებას მოგვცემს პერსონალისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

ამჟამად სდსუ-ში, ჩვენ აქტიურობა კონცენტრირებულია WEAVE-ის გამოყენებაზე შეფასებებისას და კურიკულუმის მატრიცების შემუშავებაზე. WEAVE არის ინტერნეტ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საშუალება, რომელიც ეხმარება აკადემიურ პერსონალს თავიანთი პროგრამების შეფასების პროცესში. ჩვენი აკადემიური პერსონალი ახლა სწავლობს WEAVE-ის გამოყენებას. ჩვენ უკვე დავიწყეთ WEAVE –ში ინფორმაციის განთავსება ჩვენი დეპარტამენტის შესახებ. ჩვენს დისკუსიებში (დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალთან) გამოიკვეთა, რომ ჩვენ გვესაჭიროება გაფართოებული და გაუმჯობესებული კურიკულუმის მატრიცა, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც საფუძველი სწავლის შედეგების შესაფასებლად. ქიმიის დეპარტამენტის კურიკულუმის კომიტეტი ამთავრებს სტუდენტების სწავლის შედეგების მონაცემების ჩამონათვალის შექმნას ხარისხის მიმნიჭებელი სხვადასხვა პროგრამებისათვის. ეს მატრიცები იქნება გამოყენებული ჩვენი საგანმანათლებლო ორგანიზაციისათვის. გარდა ამისა, ეს მატრიცები გამოყენებული იქნება სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დიზაინისათვის. ეს საშუალებები გამოყენებული იქნება, რათა პასუხი გაეცეს ზოგიერთ მნიშვნელოვან შეკითხვას, მაგალითად, რის ცოდნას ველოდებით ჩვენ ჩვენი სტუდენტებისაგან, როდესაც ისინი შემოდიან უნივერსიტეტში? რა იციან მათ სინამდვილეში? წარმატებით ვასწავლით თუ არა ჩვენ სტუდენტებს? რა უნდა შევცვალოთ ჩვენ, რათა გავაუმჯობესოთ სტუდენტების ცოდნის ხარისხი.

SDSU - Georgia

B.S. in Chemistry (American Chemical Society Certified)

and

B.S. in Chemistry with Biochemistry Emphasis

- Section I: Chemistry and Biochemistry Degree Programs
- Section II: Course Descriptions (Undergraduate Courses Only)
- Section III: Assessment and Student Learning Outcomes
- Section IV: Syllabi of undergraduate courses with full details of textbooks, lecture schedules, grading, homework assignments, learning outcomes, etc.

Section I: Chemistry and Biochemistry Degree Programs

SDSU Department of Chemistry and Biochemistry

College of Sciences

Office: GMCS 209

Telephone: 619-594-5595

Fax: 619-594-4634

Email: cheminfo@sciences.sdsu.edu

